

ქართული უნივერსიტეტის VIII პირად-გუნდური ოლიმპიადა  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - XI კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_  
სკოლა, კლასი \_\_\_\_\_  
თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_  
მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

*ინსტრუქცია*

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული კითხვა ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. რომელ წელს აღიარა რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

ა. 1941 წ.                      ბ. 1942 წ.                      გ. 1943 წ.                      დ. 1944 წ.

(1) 2. ვინ დააარსა ჟურნალი „ცისკარი“?

ა. გიორგი ერისთავმა    ბ. ივანე კერესელიძემ    გ. ილია ჭავჭავაძემ    დ. სოლომონ დოდაშვილმა

(1) 3. ვინ ხელმძღვანელობდა სახალხო გვარდიას?

ა. გიორგი კვინიტაძე    ბ. ვარდენ წულუკიძე    გ. კოტე აფხაზი    დ. ვალიკო ჯუღელი

(1) 4. რომელ წელს მიიღეს საქართველოში პირველი კონსტიტუცია?

ა. 1918 წ.                      ბ. 1921 წ.                      გ. 1922 წ.                      დ. 1936 წ.

(1) 5. რომელ წელს დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულება?

ა. 1918 წ.                      ბ. 1919 წ.                      გ. 1920 წ.                      დ. 1921 წ.

(1) 6. რომელ წელს გამოცხადდა რომანოვების სამეფო გვარის კუთვნილი მიწები სახელმწიფო საკუთრებად საქართველოში?

ა. 1918 წ.                      ბ. 1919 წ.                      გ. 1920 წ.                      დ. 1921 წ.

(1) 7. რომელ წელს ესტუმრა საქართველოს დასავლეთ ევროპის სოციალისტთა დელეგაცია?

(2) 1918 წ.                      ბ. 1919 წ.                      გ. 1920 წ.                      დ. 1921 წ.

(1) 8. რომელ წელს შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირი?

ა. 1917 წ.                      ბ. 1918 წ.                      გ. 1919 წ.                      დ. 1920 წ.

(1) 9. რას უწოდებდნენ ჩინეთში ქალაქის ფულს?

ა. „მოხერხებულ ფულს“ ბ. „მსუბუქ ფულს“ გ. „თვლად ფულს“ დ. „გამჭვირვალე ფულს“

(1) 10. ვის ადარებს ფრანგი ჯვაროსანი დე ბუა საქართველოს მეფე ლაშა-გიორგის?

ა. იულიუს კეისარს ბ. ალექსანდრე მაკედონელს გ. გნეუს პომპეუსს დ. კალიგულას

(1) 11. სად შეარქვეს ფრიდრიხ ბარბაროსას „ჟღალწვერა“?

ა. ინგლისში ბ. იტალიაში გ. ეგვიპტეში დ. საფრანგეთში

(1) 12. რომელ წელს ჩატარდა საქართველოში პირველად საპარლამენტო არჩევნები?

ა. 1918 წ. ბ. 1919 წ. გ. 1920 წ. დ. 1921 წ.

(1) 13. ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?

ა. ნოე რამიშვილი ბ. ნოე ჟორდანიას გ. ზვიად გამსახურდია დ. ედუარდ შევარდნაძე

(1) 14. რა ერქვა დარიოს პირველის მიერ აშენებულ ახალ დედაქალაქს?

ა. პერსეპოლისი ბ. თეირანი გ. ყაზვინი დ. ისპაჰანი

(1) 15. ინდუიზმში ლაკში არის

ა. ნაყოფიერების ღვთაება ბ. შურისძიების ღვთაება გ. სიკეთის ღვთაება დ. ბედნიერების ღვთაება

(1) 16. რამდენ კვადრატულ მეტრს უდრის ერთი ქცევა?

ა. 1.600 კვ.მ-ს ბ. 2.600 კვ.მ-ს გ. 3.600 კვ.მ-ს დ. 4.600 კვ.მ-ს

(1) 17. რომელი პოლიტიკური პარტიის წევრი იყო ნოე ჟორდანიას?

ა. ეროვნულ-დემოკრატიულის ბ. სოციალ-დემოკრატიულის  
გ. სოციალისტ-ფედერალისტურის დ. სოციალისტ-რევოლუციონერთა

(1) 18. ჩამოთვლილთაგან რომელი არ იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი?

ა. ივანე ჯავახიშვილი ბ. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი გ. გოგიტა ფაღავა დ. შალვა ნუცუბიძე

(1) 19. რომელ წელს არ მომხდარა საქართველოში აჯანყება?

ა. 1812 წ. ბ. 1922 წ. გ. 1924 წ. დ. 1937 წ.

(1) 20. ვის ეკუთვნის 1665 წელს ოქსფორდში გამოცემული ნაშრომი „ახალი ასტრონომიული ცხრილები“?

ა. ულულ ბეგს ბ. თემურ ლენგს გ. ანდრეი რუბლიოვს დ. რუსტიჩანოს

(1) 21. ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“?

ა. ჟან-ჟაკ რუსოს ბ. შარლ ლუი მონტესკიეს გ. რენე დეკარტს დ. დენი დიდროს

(1) 22. ვინ იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი შინაგან საქმეთა მინისტრი?

ა. ნოე რამიშვილი ბ. ნოე ჟორდანიას გ. გრიგოლ გიორგაძე დ. გიორგი ელისაბედაშვილი

## II დავალება - შესაბამისობის პოვნა

### ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეავსეთ არსებული შესაბამისობების მიხედვით შემდეგი წესით: „X“ დასვით სწორი პასუხის ადგილზე, მაგ: თუ შესაბამისობა შენიშნეთ ივანე ჯავახიშვილსა და ნაშრომ „აფხაზურ ქრესტომათიას“ შორის, მაშინ მონიშნეთ უჯრა X ნიშნაკით „1“-ისა და „ა“-ს გადაკვეთაზე. II დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

### (4) 23. იპოვეთ შესაბამისობები

- |  |   |
|--|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. ივანე ჯავახიშვილი</li> <li>2. სიმონ ჯანაშია</li> <li>3. ილია ჭავჭავაძე</li> <li>4. პლატონ იოსელიანი</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>ა) „აფხაზური ქრესტომათია“</li> <li>ბ) „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“</li> <li>გ) „ამბავნი ქართლისანი“</li> <li>დ) „სიმეოლო სარწმუნოებისა“</li> <li>ე) „ახალი ისტორია“</li> <li>ვ) „ქართველი ერის ისტორია“</li> </ol> |
|--|---|

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

## III დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

### ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ერთიანი საქართველოს მეფეები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული მეფის შესაბამისი ციფრი. III დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

### (4) 24. დაალაგეთ ერთიანი საქართველოს მეფეები ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან და უახლესისაკენ

- |               |              |           |              |
|---------------|--------------|-----------|--------------|
| 1. ბაგრატ III | 2. გიორგი II | 3. თამარი | 4. დემეტრე I |
|---------------|--------------|-----------|--------------|

--	--	--	--

## IV დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

### ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. ტექსტის ბოლოში წარმოდგენილ პასუხების ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომები და მათი შესწორებული ვარიანტები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. IV დავალება მაქსიმუმ ათი (10) ქულით ფასდება.

### (10) 25. ევროკავშირი

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტი წარმოადგენდა კონფლიქტების თეატრს. ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი - ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. მარტო საფრანგეთმა და გერმანიამ, 1870 წლიდან 1945 წლამდე პერიოდში, ხუთჯერ იომეს. ამ პერიოდში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა, წამოაყენა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების ინტეგრაციის წინადადება, რამაც შედეგად გამოიღო 1952 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის შექმნა, რომელიც არის დღევანდელი ევროკავშირის წინაპარი.

თავდაპირველად ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმართული ღონისძიებანი იფარგლებოდა ექვს დამფუძნებელ ქვეყანას შორის (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები) ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნით.

ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის წარმატებამ ბიძგი მისცა დანიას, ირლანდიასა და ნორვეგიას, რომ შეეტანათ განაცხადი, რათა გაწევრიანებულიყვნენ ევროპულ თანამეგობრობაში (როგორც მას მაშინ ეძახდნენ). ისინი 1975 წელს მიიღეს გაერთიანებაში. ევროკავშირის მეორე და მესამე გაფართოება 1981 და 1986 წლებში განხორციელდა.

2007 წლიდან ევროკავშირს შეემატა ორი ახალი ქვეყანა ბულგარეთი და ალბანეთი. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ევროკავშირმა საქართველოსთან ე.წ. „უვიზო მიმოსვლის“ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		